

თამარ ჩუბინიძე

დეკორის გარდაქმნილი დაბრუნება არქიტექტურაში და ქართული შესატყვისები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
სადოქტორო პროგრამა არქიტექტურათმცოდნეობა

რეზიუმე

თანამედროვე არქიტექტურაში დაბრუნდა დეკორი, თუმცა შეცვლილი სახით. მოხდა დეკორის მატერიალური გამოხატულებების - ორნამენტის ცნების მიგრაცია მისი ტრადიციული გაგების ფარგლებს გარეთ - ფორმაში და შენობის სტრუქტურულ ჩარჩოში, და ორნამენტის მასშტაბის თანდათანობით ზრდა მანამდე, სანამ მან მთელი შენობა არ მოიცვა. შენობამ საკუთარ თავზე გადმოიბარა ორნამენტის, როგორც კომუნიკაციის საშუალების როლი.

ორნამენტის ჯერ უარყოფას, მერე კი მის დაბრუნებას არქიტექტურაში წინ უძღოდა კამათი ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელობის გადატანის, ანუ მისი როგორც კომუნიკაციის საშუალების შესახებ. დეკორის უარყოფა მოახდინა მოდერნიზმმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ მოდერნისტული აბსტრაქციის მიერ მნიშვნელობის გადატანის უარყოფის მცდელობა მაინც არ ათავისუფლებს მას *აღმნიშვნელის* ტვირთისგან, მოხდა დეკორის დაბრუნება.

დღეს ორნამენტი, მცირე გამონაკლისის გარდა, მასშტაბში გაიზარდა და ნარატიული შინაარსით შემცირდა. სოციალურად მნიშვნელოვან შინაარსს იგი აღარ ატარებს. საქართველოში ეს პროცესები განსხვავებულად წარიმართა: მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დატანებული დეკორი კვლავ პირდაპირ იქნა გამოყენებული და მას პოლიტიკური დატვირთვა მიეცა. ამ დისერტაციაში განხილული ახალი მოედნები, სახლების კუთხურ-კომპლური ტიპები და ყალბი რეკონსტრუქცია მიუთითებენ, რამ დატანებულ დეკორს მიენიჭა სემანტიკური ფუნქცია განახლებული საქართველოს სიმბოლოდ აღქმულიყო და ტურისტთა მოსაზიდად კულტურის მემკვიდრეობის ფალსიფიცირებით დაკავებულიყო. გარდა ამისა, საქართველოშიც მოხდა არქიტექტურის როგორც *აღმნიშვნელის* როლის

პოსტმოდერნისტული აღიარება და, შესაბამისად, დეკორი როგორც მნიშვნელობის გადამტანი, გადაიქცა მთლიან შენობად.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დეკორის გარდაქმნილი დაბრუნება არქიტექტურაში და მისი ქართული შესატყვისები. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი სამ თავადაა დაყოფილი. პირველ თავში მოცემულია მსოფლიო არქიტექტურაში დატანებული დეკორის უარყოფის წანამდღვრების, მისი შენარჩუნების მცდელობების და სახეცვლილების მოკლე ისტორია, ასევე განხილულია დეკორის სახეცვლილების და შენობის როგორც აღმნიშვნელის ცნობილი მაგალითები. მეორე თავი განიხილავს ქართულ არქიტექტურას მიმდინარე საუკუნეში და გამოყოფს შენობათა იმ ათ ტიპს, რომლებიც, ნაშრომის ავტორის აზრით, გამოხატავენ ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებს, მათზე პოლიტიკურ ზეგავლენებს და მათ შედეგებს, ორნამენტის როგორც პირდაპირ, ასევე სემანტიკურ გამოყენებას და მნიშვნელობის გადატანის საკომუნიკაციო ინსტრუმენტებს. მესამე თავში მოცემულია დეკორის როგორც მატერიალური კულტურის განუყოფელი ნაწილის შეფასების მცდელობები მსოფლიო არქიტექტურულ კრიტიკაში და ქართულ არქიტექტურულ სინამდვილეში გამოყენების საშუალებები, ამ გამოცდილების და საავტორო კლასიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები ქართულ არქიტექტურაში დეკორის,

როგორც მთლიანი შენობის აღმნიშვნელი როლის შესახებ, და რეკომენდაციები ქართული არქიტექტურის განვითარების მიმართულებებზე.

დისერტაციის **შესავალში** დასაბუთებულია დეკორის არქიტექტურაში სახეცვლილი დაბრუნების აქტუალობა, ვინაიდან შენობა როგორც ორნამენტი აღმნიშვნელის ანუ მომხმარებელთან მნიშვნელობის გადამტანი კომუნიკაციის ძირითად საშუალებად ჩამოყალიბდა. განხილულია დისერტაციაში დასმული პრობლემის სიახლე საქართველოსთვის და ჩამოთვლილია კვლევის მიზნები. ნაშრომის **პირველი თავი** მოიცავს ლიტერატურის განხილვას XIX საუკუნიდან დღევანდელ დღემდე მსოფლიო არქიტექტურაში დეკორის უარყოფის და მისი სახეცვლილი დაბრუნების შესახებ. იგი სამ ქვეთავადაა დაყოფილი, აქედან პირველი მოგვითხრობს ორნამენტზე უარის თქმის და მოდერნიზმის ეროზიის პრობლემის შესახებ, რასაც მოჰყვა ბრძოლა დატანებულ დეკორთან და მისი შენარჩუნების მცდელობები; მეორე განიხილავს ორნამენტის სახეცვლილი დაბრუნების საკითხებს და მოჰყავს მსოფლიოს მიმდინარე არქიტექტურაში ცნობილი მაგალითები, აქვე მოცემულია მათი შემოკლებული ანალიზი; მესამე კი აჯამებს წყაროებში დაგროვილ მასალას და გადმოგვცემს ორნამენტის გამოყენების მიმდინარე სტრატეგიების შინაარსს, სახელდობრ, გარეკანის იდეოლოგიას, ბოტანიკურ ტელეოლოგიას, ნეოდეკორატივიზმს და, ბოლოს, სადისერტაციო თემისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას: შენობა, როგორც ორნამენტი.

დისერტაციის **მეორე თავი** ეძღვნება დეკორის დაბრუნების ქართულ შესატყვისებს და დაყოფილია 10 ქვეთავად. მათ შორის პირველი ეძღვნება ახალ ან საფუძვლიანად რეკონსტრუირებულ მოედნებს, რომლებმაც ბათუმისა და ქუთაისის

ცენტრების სახე შეცვალეს; მეორე უყრის თავს დისერტაციის ავტორის მიერ შენობათა დადგენილ ახალ - კუთხურ-კომპლურ ტიპს და მათ თვისებებს განიხილავს; მესამე დათმობილი აქვს საქართველოს მიმდინარე არქიტექტურაში ყველაზე უფრო გავრცელებულ შენობათა ტიპს, რომელსაც ავტორი უწოდებს „დეზორიენტაციის შერეული ტიპი“, რადგან მათ არ გააჩნიათ გამოკვეთილი სტილობრივი პრიორიტეტები და ფსევდოსტილების აღრევით მომხმარებელს დაბნეულს ტოვებენ; მეოთხე და მეხუთე ეძღვნება ყალბი რეკონსტრუქციის და ყალბი თანამედროვე ნაგებობების ტიპოლოგიებს, როცა არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორთა მიერ ჩადენილია ისტორიულ-კულტურული, ისევე როგორც მოდერნისტული პარადიგმის ფალსიფიკაცია; მეექვსე განიხილავს თანამედროვე არქიტექტურის იმ მაგალითებს, რომლებიც კონტექსტის მიღმა არიან და ურბანულ გარემოში ჩაწერას ვერ ახერხებენ; მეშვიდე ქვეთავი ნეიტრალური არქიტექტურის მცირედონ მაგალითებზე მოდის, რადგან ეს ტიპი არ წარმოადგენს ინტერესს დისერტაციის მიერ დასახული მიზნებისათვის; მერვე ქვეთავი, პირიქით, უმნიშვნელოვანესია ნაშრომის მიზნებისათვის, რადგან ჯგუფი „ს“-ში სიმბოლური, სემიოტიკური, და სემანტიკური არქიტექტურა შედის, და სწორედ აქ განიხილება შენობები, რომლებიც აღმნიშვნელად იქცევიან გარკვეული, მეტწილად პოლიტიკური გზავნილის გამდმოსაცემად; მეცხრე ქვეთავში ღირსეული არქიტექტურის არც თუ ისე ბევრი მაგალითია მოყვანილი, და ბოლოს მეათე ქვეთავი ეძღვნება იმ შენობებს, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომში მიღებული კლასიფიკაციის მიღმა დარჩნენ, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებენ ავტორის მიერ ჩამოყალიბებულ ტიპოლოგიურ კრიტერიუმებს.

დისერტაციის მესამე თავი ეთმობა დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მასში სამი ქვეთავია: პირველი უბრუნდება ლიტერატურულ წყაროებს და განიხილავს დეკორის როგორც მატერიალური კულტურის განყოფილი ნაწილის შეფასების მცდელობებს მსოფლიო არქიტექტურულ კრიტიკაში, რის შემდეგ სახავს მათი გამოყენების საშუალებებს ქართულ არქიტექტურულ სინამდვილეში; მეორე ქვეთავში მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების და საავტორო კლასიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები ქართულ არქიტექტურაში დეკორის, როგორც მთლიანი შენობის აღმნიშვნელი როლის შესახებ, და ბოლოს მესამე ქვეთავში მოცემულია რეკომენდაციები ქართული არქიტექტურის განვითარების მიმართულეებზე.

Tamar Chubinidze
Return of Transformed Décor to Architecture
and Georgian Paradigms

DISSERTATION

submitted in partial satisfaction of the requirements for the academic degree of

DOCTOR OF ARCHITECTURE

Georgian Technical University

Tbilisi 0175, Georgia

© Copyright Tamar Chubinidze 2018

Abstract

Décor returned to modern architecture, but a transformed one. The material expression of décor – ornament has migrated from its traditional meaning to the form and structural frame of the building, and has grown in scale to occupy its entire mass. The building took over the role of ornament as a means of communication.

The rejection of ornament, and then its return to architecture, was preceded by the debate on whether architecture can convey the meaning. It was modernism that rejected décor but as it has become evident that even a refusal by modernist abstraction to convey any meaning did not relieve it from the burden of a *signifier*, the decor has come back.

Today, ornaments have grown in size and, with minor exemptions, the content of their narratives have diminished. They no longer carry socially important meaning. However, in Georgia this process went differently: in the beginning of the current century, a politically charged decor was still applied directly onto the buildings. The new urban squares discussed in this thesis, the corner-tower type of houses and fake reconstructions indicate that the applied decor was given a semiotic meaning to be a symbol of a reformed Georgia and to attract tourists to a falsified cultural heritage. In addition, in Georgia there has also been a postmodern recognition of a *signifier* role of architecture, hence the décor-cum-building was widely accepted as a universal conveyor of the meaning.

This dissertation deals with the return of a transformed décor in architecture, and the Georgian paradigms. In order to achieve its goals, the thesis is divided into three chapters.

The first chapter contains a brief history of attempts to reject, resist and retrieve décor in world architecture, as well as meaningful examples of its transformation and the signifier buildings. Second chapter reviews the Georgian architecture of this century and earmarks ten types of buildings that, in the opinion of the author, reflect the processes in national architecture, political influences and their results, both direct and semantic use of ornaments, and the signifiers as instruments of communication. Third chapter describes attempts of architectural criticism to rank décor as an inseparable part of material culture and its application to the Georgian reality, and based on this this experience and the author's classification, sets out conclusions on the role of décor-cum-building as a signifier in Georgian architecture, and recommendations on future directions of the Georgian architecture.

The **Introduction** to the dissertation argues that the return of a transformed décor was inevitable since the building as ornament has become the main conveyor of the meaning in current architecture, notes that the studies of the problems raised in this thesis are new for Georgia, and lists the objectives for the research. The **First Chapter** reviews the literary sources on the rejection of the décor and its transformed return to the world architecture from XIX C. to the current period. It is sub-divided into three sections: the first one describes the process of the rejection of the ornament and a subsequent erosion of modernism, signified by the war against applied décor and the attempts to maintain it; second reviews the issues related to a transformed return of ornament to architecture and brings up well-known examples of current architecture supported by their brief analysis; third sums up the material collected in the sources and conveys the essence of current strategies of the use of the ornament, notably, the ideology of the envelope, botanical teleology, neodecorativism and, finally, the most important issue for this dissertation: building as ornament.

The **Second Chapter** of the dissertation is dedicated to the Georgian paradigms of the return of ornament to architecture, and is sub-divided into ten sections. The first section deals with the new or fundamentally altered urban squares, that changed the images of the centres of Batumi and Kutaisi; second covers a new type of the buildings earmarked by the author of this dissertation as corner-tower type of houses and investigates their characteristics; third is dedicated to the most widely-spread building type of the current Georgian architecture, named by the author "disorienting mixed type" since they do not reflect any styling priorities and confuse the customers by a mix of pseudo-styles; fourth and fifth sections include false reconstruction and false modern building typologies, when the authors of these creations commit total falsification of both historical-cultural and modernist paradigms; sixth reviews those examples of modern architecture, that fall out of context and do not integrate with their urban surroundings; the seventh section includes very few examples of neutral buildings as this type does not represent any interest to the objective of this thesis; on the contrary, the eighth section is the most important for the dissertation since it reviews the "s" group – symbolic, semiotic and semantic architecture or the buildings that had been designed as signifiers of selected, mainly political messages; ninth section makes a

limited selection decent contemporary architecture, and finally the tenth shows those buildings which fall, in the opinion of the author of this thesis, out of any classification.

The **Third Chapter** of this dissertation is devoted to conclusions and recommendations, and consists of three sections: the first reviews more literary sources in order to find examples of architectural critique to evaluate décor as an integral part of material culture of the world, after which the author tries to connect this philosophy to the current stage of Georgian architecture; second makes certain assumptions on the role of a building as ornament taking on the signifier's role in Georgian architecture, basing them on both the international experience and author's classification, and finally the third section gives recommendations on the future development of architecture in Georgia.